პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 16 დეკემბერი, 1947 წ. № 250 (8034). ფასი 20 კაპ.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში იმართება მშრომელთა მრავალრიცხოვანი მიტინგები, მიძღვნილი „ფულის რეფორმის გატარებისა და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისადმი.

მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ ამ ისტორიულ დადგენილებას და პირობას იძლევიან, რომ თავიანთი დაუღალავი შრომით კიდევ უფრო დააჩქარებენ ჩვენი სამშობლოს წინსვლას კომუნიზმისაკენ. ისინი მხურვალე მადლობას უთვლიან დიდ სტალინს, ვინც განუწყვეტლივ ზრუნავს ხალხისათვის, ვისი წინამძღოლობითაც ჩვენი ხალხი ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევს.

1947 წლის ფულის რეფორმა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ფულის რეფორმის გატარებისა და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმების შესახებ“, რომელიც დღეს ქვეყნდება, უდიდესი სახელმწიფო, ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია.

საბჭოთა სახელმწიფო ფულის რეფორმას ატარებს მანეთის კურსის განმტკიცების მიზნით და მომარაგების საბარათო სისტემას აუქმებს ერთიანი სახელმწიფო ფასებით გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასასვლელად. ეს ღონისძიებანი ნავარაუდევია მეორე მსოფლიო ომის შედეგების აღმოსაფხვრელად და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების აუცილებელ პირობას წარმოადგენენ.

დიდმა სამამულო ომმა მოითხოვა უდიდესი ხარჯები საბჭოთა არმიის შესანახავად და სამხედრო მრეწველობის გასაფართოებლად. საჭირო გახდა მიმოქცევაში გამოშვებული ყოფილიყო დიდძალი ფული. ამავე დროს შემცირდა მოსახლეობისათვის მისაყიდად განკუთვნილი საქონლის წარმოება, რის გამო მიმოქცევაში აღმოჩნდა ფულის დიდი ნამეტი.

გარდა ამისა, დროებით დაპყრობილ ტერიტორიაზე ოკუპანტებმა გამოუშვეს ბევრი ყალბი ფული მანეთებად, რამაც კიდევ უფრო გაადიდა შეუსაბამობა მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობასა და სამეურნეო ბრუნვის ნორმალურ მოთხოვნილებას შორის და დაანაგვიანა ჩვენი ფულის მიმოქცევა.

ყოველივე ამის შედეგად, მიმოქცევაში აღმოჩნდა გაცილებით მეტი ფული, ვიდრე ეს საჭიროა სახალხო მეურნეობისათვის, მკვეთრად გადიდდა საბაზრო ფასები, შემცირდა ფულის მყიდველობითი ძალა. სპეკულაციურმა ელემენტებმა გამოიყენეს სახელმწიფო და საბაზრო ფასების დიდი განსხვავება დიდძალი ფულის დასაგროვებლად მოსახლეობის ხარჯზე გამდიდრების მიზნით.

მიმოქცევაში ფულის დიდი ნამეტი აფერხებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ტემპის დაჩქარების საქმეს, აბრკოლებს მომარაგების საბარათო სისტემის გაუქმებას და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლებას.

მანეთის კურსის განსამტკიცებლად და ერთიანი სახელმწიფო ფასებით უბარათებოდ გაშლილ ვაჭრობაზე გადასვლის გასაადვილებლად, საბჭოთა სახელმწიფო ატარებს ფულის რეფორმას, რომელიც ითვალისწინებს მიმოქცევაში ახალი სრულფასოვანი ფულის გამოშვებას და როგორც ყალბი, ისე არასრულფასოვანი ძველი ფულის ამოღებას მიმოქცევიდან. ფულის რეფორმა ტარდება შემდეგ საფუძვლებზე:

პირველი. ძველი ფული, რაც ხელზე აქვთ მოსახლეობას, სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, გადაიცვლება ახალ ფულზე თანაფარდობით: ძველი ფულის ათი მანეთი ახალი ფულის ერთ მანეთზე.

ძველი ფულის ახალ ფულზე გადაცვლა აღნიშნული შეზღუდვით საშუალებას იძლევა მიმოქცევაში აღმოიფხვრას ფულის ნამეტი, ამოღებულ იქნას ყველა არასრულფასოვანი, აგრეთვე ყალბი ფული.

გადაცვლის გზით ლიკვიდირებულ იქნება სპეკულაციური ელემენტების ხელში ფულის დიდი დაგროვება, რაც ომის დროს მოხდა. ეს საშუალებას იძლევა თავიდან იქნას აცილებული საბარათო სისტემის გაუქმების შემდეგ საქონელი შეიძინონ იმ პირებმა, რომლებიც ომის პერიოდის მაღალი ფასების გამოყენებით და სხვა არაკანონიერი გზით გამდიდრდნენ.

მეორე. გადაფასდება მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებსა და სახელმწიფო ბანკში, ამასთან უფრო შეღავათიან პირობებში, ვიდრე ნაღდი ფულის გადაცვლა.

ცნობილია, რომ ანაბრების ძირითადი თანხა შეიქმნა ომის დროს, როცა მანეთის მყიდველობითი ძალა შემცირდა. მიუხედავად ამისა, ანაბრების გადაფასება მეტად შეღავათიან პირობებში ხდება. საბჭოთა სახელმწიფო იცავს მოსახლეობის დანაზოგს, მხედველობაში იღებს, რომ მეანაბრეებმა საბჭოთა სახელმწიფოს განკარგულებაში გადასცეს თავიანთი დანაზოგი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად.

ანაბრების გადაფასება ხდება შემდეგნაირად. 3.000 მანეთამდე ანაბრები უცვლელად რჩება, ესე იგი გადაფასდება თანაფარდობით მანეთი მანეთად, რის შედეგად მეანაბრეთა დიდი უმრავლესობის დანაზოგი სრულ თანხად რჩება. 10.000 მანეთამდე ანაბრიდან ანაბარში ჩაირიცხება პირველი სამი ათასი მანეთი — ნომინალური თანხის შეუცვლელად, ანაბრის დანარჩენი ნაწილი კი მცირდება ერთი მესამედით. ანაბრიდან, რომელიც 10.000 მანეთს აღემატება, ანაბარში ჩაირიცხება: პირველი ათი ათასი მანეთი ზ-მოაღნიშნული ოდენობით, ანაბრის დანარჩენი ნაწილი კი — განახევრდება.

მესამე. ტარდება ყველა წინათ გამოშვებული სახელმწიფო სესხის კონვერსია, გარდა 1947 წლის სესხისა, ესე იგი წინათ გამოშვებული სესხები ერთიანდება ერთიან სესხად.

წინათ გამოშვებული სესხების ობლიგაციები გადაიცვლება იმ ახალი საკონვერსიო 2-პროცენტიანი სესხის ობლიგაციებზე, რომელიც გამოშვებული იქნება 1948 წელს, შეფარდებით: წინათ გამოშვებული სესხების ობლიგაციების სამი მანეთი საკონვერსიო სესხის ობლიგაციების ერთ მანეთზე. კონვერსია ეხება მეორე ხუთწლედის სახელმწიფო სესხს, სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხს, მესამე ხუთწლედის სესხებს, სამხედრო სესხებს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სესხს, აგრეთვე შემნახველი სალაროების მოწმობებს.

კონვერსიის საჭიროება იმას ემყარება, რომ სახელმწიფოს ვალის ძირითადი თანხა წარმოიშვა ომის წლებში, როცა ფულის მყიდველობითი ძალა მნიშვნელოვნად შემცირდა, ფულის რეფორმის შემდეგ კი სახელმწიფო ამ ვალს სრულფასოვანი მანეთით გაისტუმრებს. მიუხედავად ამისა, იმ სახელმწიფო სესხების კონვერსია, რაც მშრომელებმა საბჭოთა სახელმწიფოს მისცეს თავიანთი დანაზოგიდან, ტარდება უფრო შეღავათიანი კურსით, ვიდრე ნაღდი ფულის გადაცვლა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხს, რომელიც გამოშვებულია 1947 წელს, მაშასადამე, იმ პერიოდში, როცა უკვე გადიდდა მანეთის მყიდველობითი ძალა, კონვერსია არ ეხება. აღნიშნული სესხის ხელის მომწერნი განაგრძობენ ხელმოწერის თანხის განაღდებას წინანდელ საფუძვლებზე და მთელი შეტანილი თანხის ამ სესხის ობლიგაციებს იღებენ მათი ნომინალური ღირებულებით ხელმოწერის განაღდების შემდეგ.

1938 წლის სახელმწიფო მომგებიანი სესხის ობლიგაციები გადაიცვლება 1947 წლის 13 დეკემბერს გამოშვებული ახალი, თავისუფალ მიმოქცევაში მყოფი სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციებზე შეფარდებით: 1938 წლის სესხის ობლიგაციების 5 მანეთი 3-პროცენტიანი შინაგანი სესხის ობლიგაციების ერთ მანეთზე.

მეოთხე. ერთგვარი გადაფასება ეხება ფულად სახსრებს, რომლებიც ეკუთვნით კოლმეურნეობებს, სარეწაო და სამომხმარებლო კოოპერაციას და რომლებიც ინახება საკრედიტო დაწესებულებათა მიმდინარე და საანგარიშსწორებო ანგარიშებზე.

კოოპერაციისა და კოლმეურნეობათა ფულადი დაგროვება, რაც ომის დროს და ომისშემდგომ წლებში გაიზარდა, რამდენადმე დაკავშირებულია მაღალ საბაზრო ფასებთან. ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო ფულის რეფორმის გატარების წესით ამ ფულადი სახსრების 20 პროცენტს წარმართავს საერთო სახელმწიფოებრივ საჭიროებათა დასაფინანსებლად.

საგადასახადო გადასახდელთა განაკვეთები, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შორის ვალისა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა ოდენობა, სახელმწიფოს წინაშე მოსახლეობის საგადასახდელო ვალდებულებათა ოდენობა, აგრეთვე სსრ კავშირისა და უცხო სახელმწიფოთა შორის სახელშეკრულებო ვალდებულებათა ოდენობა უცვლელი რჩება.

მეხუთე. ფულის რეფორმის გატარებისას მუშა-მოსამსახურეთა ხელფასს, აგრეთვე სახელმწიფო დამზადებათაგან გლეხთა შემოსავალს და მოსახლეობის ყველა ფენის სხვა შრომითს შემოსავალს რეფორმა არ ეხება და ანაზღაურებულ იქნება ახალი ფულით წინანდელი ოდენობით.

საბჭოთა სახელმწიფო იცავს მშრომელთა ფართო მასების ინტერესებს. მათი დანაკარგი გადაცვლის გატარებისას დიდი არ იქნება. მიმდინარე შრომითს შემოსავალს რეფორმა არ ეხება, რადგან დაწესებული ხელფასი, სამხედრო მოსამსახურეთა ფულადი კმაყოფა, სტიპენდიები, პენსიები, დამზადების ფასები უცვლელი რჩება.

ნოემბრის ხელფასი და სასოფლო-სამეურნეო დამზადებათა გადასახდელი გაცემულია წინასწარ — 5 დეკემბრამდე და არა რეფორმის წინ, ამით მშრომელებს საშუალება ჰქონდათ საქონელი ეყიდათ გადაცვლის დაწყებამდე მიღებული ძველი ფულით. მთელი დეკემბრისათვის შრომითი შემოსავალი მოსახლეობას ეძლევა უკვე ახალი ფულით, ამასთან დეკემბრის პირველი ნახევრის ხელფასი გაცემულ იქნება შემოკლებულ ვადაში, ფულის რეფორმის გატარების პირველ დღეებში.

ასეთია საფუძვლები ფულის რეფორმისა, რაც ტარდება სსრ კავშირში.

ფულის რეფორმა ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა დიდი ომის შემდეგ. ჩვენს ქვეყანაშიც პირველად როდი ტარდება ფულის რეფორმა.

1914-1918 წლების პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მეტწილ ნაომარ კაპიტალისტურ ქვეყნებს ფულის მოშლილი მიმოქცევა ჰქონდათ. ომისა და ომისშემდგომი ხარჯების დასაფარავად ფულის განუსაზღვრელმა გამოშვებამ წარმოშვა ინფლაცია და ფასების განუწყვეტელი ზრდა. მაგალითად, საფრანგეთში ფული იმდენად მნიშვნელოვნად უფასურდებოდა, რომ პირველი მსოფლიო ომის დამთავრებიდან 9 წლის შემდეგაც კი საჭირო გახდა დევალვაცია, რომელმაც დააკანონა ფრანკის კურსის 5-ჯერ დაწევა ომამდელ დონესთან შედარებით.

რევოლუციამდელ რუსეთში ფულის მიმოქცევა პირველი მსოფლიო ომის შედეგად სრულიად დეზორგანიზებული იყო, მოხდა ფულის კატასტროფული გაუფასურება — პირველი მსოფლიო ომის, სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის შემდეგ ფული სრულიად გაუფასურდა, ხოლო ფულის სისტემას მთლად გამოეთხარა ძირი. ფულის გაუფასურება იმდენად დიდი იყო, რომ რეფორმის დამთავრებისას ახალი ფულის ერთი მანეთი გათანაბრებული იყო 1923 წლის ნიმუშის ძველი ფულის 50 ათას მანეთთან ან 1922 წლის ნიმუშის ძველი ფულის 5 მილიონ მანეთთან.

„მეორე მსოფლიო ომი პირველზე კიდევ უფრო მძიმე და გამანადგურებელი იყო, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის, რომლებმაც ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიმძიმე გადაიტანეს. „რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ეს ომი ყველაზე სასტიკი და მძიმე იყო იმ ომებიდან, რომლებიც კი ოდესმე ყოფილა ჩვენი სამშობლოს ისტორიაში“ (სტალინი).

ომმა დიდი მსხვერპლი მოითხოვა საბჭოთა ხალხისაგან და უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს მეურნეობას. გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა დამდგენი და გამომძიებელი საგანგებო სახელმწიფო კომისიის ცნობით, მარტო ის ზარალი, რაც გამოწვეული იყო ჩვენი მოქალაქეების, კოლმეურნეობების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების ქონების პირდაპირი მოსპობით, 679 მილიარდ მანეთს შეადგენს. ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობის მეოხებით, საბჭოთა კავშირმა ომის მკაცრ განსაცდელს გაუძლო და უზრუნველჰყო სამხედრო და ეკონომიური გამარჯვება მტერზე.

1947 წლის ფულის რეფორმა არსებითად განსხვავდება ფულის იმ რეფორმისაგან, რომელიც ლენინის მითითებითა და ხელმძღვანელობით ჩატარდა ჩვენს ქვეყანაში 1922-1924 წლებში. მაშინ ახალი მტკიცე ფულის შესაქმნელად, ნაცვლად პირველი მსოფლიო ომის, სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის შედეგად თითქმის სავსებით გაუფასურებული ფულისა, საჭირო გახდა ფულის მიმოქცევის ძირეული რეფორმა. ამ რეფორმის გასატარებლად საჭირო გახდა ორი წლის დაძაბული მუშაობა. საბჭოთა სახელმწიფოს ღონისძიებებით იმ დროს მაინც შეიქმნა ახალი ფული, რომელმაც ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სწრაფ აღმავლობას.

ჩვენი ფულის მიმოქცევის ახლანდელი მდგომარეობის ოდნავ შედარებაც კი არ შეიძლება იმ მდგომარეობასთან, რომელშიც იგი 1922-1924 წლების რეფორმის წინ იყო. მიუხედავად იმისა, რომ დიდი სამამულო ომი ყველა წინანდელ ომზე განუზომლად უფრო მძიმე და გამანადგურებელი იყო, საბჭოთა სახელმწიფომ შესძლო დაეცვა ფულის მეურნეობა დანგრევისაგან, და ახლა ჩვენ არ გვესაჭიროება ის უკიდურესი ზომები, რომლებიც 1922-1924 წლების ფულის რეფორმის პერიოდში ხორციელდებოდა.

გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობებმა და საბჭოთა მეურნეობის იმ მიღწევებმა სამი სტალინური ხუთწლედის მანძილზე, რომლებიც საბჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა, შექმნა მტკიცე ბაზა, რომლის მეოხებითაც საბჭოთა ფულის სისტემამ 1941-1945 წლების ომის მძიმე განსაცდელს გაუძლო. ჯერ კიდევ სამამულო ომის მსვლელობაში და განსაკუთრებით მისი დამთავრების შემდეგ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საერთო აღმავლობის საფუძველზე მანეთის მყიდველობითმა ძალამ გადიდება იწყო. ფულის იმ რეფორმის ამოცანა, რომელიც 1947 წელს ტარდება, ის არის, რომ სავსებით აღმოიფხვრას ომის შედეგები ფულის მიმოქცევის დარგში, განამტკიცოს საბჭოთა მანეთი და გაადიდოს მისი როლი და მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში.

საბჭოთა კავშირი, რომელმაც მოკლე ხანში დაამთავრა სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი გარდაქმნა, სწრაფად ახორციელებს მის აღდგენასა და განვითარებას და მტკიცედ მიდის წინ სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობითი გადასვლის გზით. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება მეურნეობის ყველა დარგში, რეალური ხელფასის გადიდება, საცალო საქონელბრუნვის გაფართოება უცვლელ ფასებში 28 პროცენტით 1940 წლის დონესთან შედარებით და მშრომელთა მოხმარების ზრდა.

საბჭოთა კავშირი ფულის რეფორმის საფუძველზე ისე გადადის სრულფასოვან მანეთზე, რომ არ განიცდის კაპიტალისტური სახელმწიფოების დამახასიათებელ სავალუტო ქაოსს, ფასების გადიდების, რეალური ხელფასის შემცირებისა და უმუშევრობის ზრდის მძიმე, ხანგრძლივ პროცესს. ფულის რეფორმა კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩვეულებრივად იწვევს მშრომელი მასების საარსებო დონის დაწევას, რომელთა ხარჯზეც კაპიტალისტები ცდილობენ დაძლიონ ომისშემდგომი ეკონომიური კრიზისები. იგივე ხდება ახლაც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ომიანობის ეკონომიკიდან მშვიდობიანი დროის ეკონომიკაზე გადასვლას და ომის შედეგების ლიკვიდაციას კაპიტალისტურ ქვეყნებში თან სდევს წარმოების მოცულობის შემცირება და უმუშევრობის ზრდა, ახალი შეტევა მშრომელთა საარსებო დონეზე, რეალური ხელფასის შემცირება და ფართო მოხმარების საქონლის ფასების მნიშვნელოვანი გადიდება.

კაპიტალისტური მონოპოლიები იყენებენ ომისშემდგომ სამეურნეო და საფინანსო კრიზისს ომის შედეგად დასუსტებულ ისეთ ქვეყნებში, როგორიც არიან საფრანგეთი და იტალია, ზეგავლენას ახდენს მათზე იმ საბაბით, თითქოს ეხმარებიან მათ „მარშალის გეგმის“ სახით, რომელიც, როგორც ცნობილია, ამერიკის იმპერიალიზმის მიერ ევროპის ეკონომიური დამონების გეგმას წარმოადგენს.

სულ სხვა საფუძვლებზე და სულ სხვა პირობებში, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში, ხორციელდება ფულის რეფორმა სსრ კავშირში. ჩვენში არ არის და არც იქნება უმუშევრობა. ჩვენს სახალხო მეურნეობაში მომუშავე მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა წლითიწლობით მატულობს. მაინც ფულის რეფორმის გატარებისას საჭიროა ერთგვარი მსხვერპლი.

საბჭოთა კავშირში ფულის რეფორმის გატარებისას აუცილებელი მსხვერპლის მეტ ნაწილს სახელმწიფო კისრულობს. მაგრამ საჭიროა, რომ მსხვერპლის ნაწილი მოსახლეობამაც იკისროს, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი მსხვერპლი იქნება. არსებული ფულის ახალ ფულზე გადაცვლა, აღნიშნულ შეზღუდვათა გამო, მოსახლეობის თითქმის ყველა ფენას შეეხება. მაგრამ ის ზარალი, რაც ფულის გადაცვლის დადგენილ კურსთან დაკავშირებით მშრომელთა უდიდესი უმრავლესობის წილად მოდის, უმნიშვნელო და ხანმოკლეა, მაშინ როცა მშრომელთა მატერიალური სარგებლობა დიდია. რეფორმის შედეგად მოსახლეობა ნაცვლად შემცირებული მსყიდველობითი უნარის მქონე მანეთისა მიიღებს სრულფასოვან ფულს, რომლითაც იგი შესძლებს უბარათოდ იყიდოს საქონელი შემცირებულ ფასებში.

ფულის მიმოქცევის მოწესრიგება, ფართო მოხმარების საქონლის წარმოებისა და საცალო საქონელბრუნვის ზრდა შესაძლებელს გახდის ფასების შემცირებას შემდეგშიც, ესე იგი გამოიწვევს რეალური ხელფასისა და კოლმეურნეთა შემოსავლის ახალ გადიდებას. ფულის რეფორმა, ბარათების გაუქმება და ერთიან სახელმწიფო ფასებში გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლა გამოიწვევს საბჭოთა მანეთის განმტკიცებას, მისი მყიდველობითი უნარის გადიდებას, ხელფასისა და სოფლის მოსახლეობის ფულადი შემოსავლის როლის გაძლიერებას.

საბჭოთა ხალხი თავდადებულად და წარმატებით შრომობს ახალი სტალინური ხუთწლედის დიადი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ფულის რეფორმა და ბარათების გაუქმება ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების კიდევ უფრო მეტ ზრდას და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, მთელი სახალხო მეურნეობის ახალ აღმავლობას და ამ საფუძველზე სსრ კავშირის მშრომელთა კეთილდღეობის აღმავლობას.

სსრ კავშირის ფულის სისტემა, რომელიც ეყრდნობა სოციალისტურ გეგმიან მეურნეობას, რამაც ეკონომიური კრიზისები არ იცის, მსოფლიოში ყველაზე მტკიცე და მყარია. „საბჭოთა ვალუტის სიმტკიცე უზრუნველყოფილია, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოს ხელში არსებული საქონლის მასების უდიდესი რაოდენობით, რომლებიც საქონელბრუნვაში გაშვებულია მტკიცე ფასებში“ (სტალინი).

ახალი საბჭოთა ფული უმნიშვნელოვანესი ბერკეტი იქნება ამხანაგ სტალინის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული ისტორიული ამოცანის გადაჭრის — უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების დამთავრებისა და კომუნიზმის უმაღლეს ფაზაზე თანდათანობით გადასვლის საქმეში.

„პრავდა“, 1947 წლის 15 დეკემბერი

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებული შრომით ვუპასუხოთ!

მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე

დილით დიმიტროვის სახელობის ქარხნის საგაზეთო ვიტრინებში გამოაკრეს „კომუნისტისა“ და „ზარია ვოსტოკას“ ფურცლები, რომლებშიც გამოქვეყნებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ფულის რეფორმის გატარებისა და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმების შესახებ“. დიმიტროველები გაეცნენ პარტიისა და მთავრობის ამ ახალ დადგენილებას, რაც ჯერ კიდევ წინადღით რადიოთი მოისმინეს. ქარხნის მუშაკები კმაყოფილებას გამოსთქვამენ დადგენილებით დასახული ღონისძიებების გამო, რაც მიმართულია მშრომელთა საარსებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისაკენ და ძირს უთხრის სპეკულაციური ელემენტების საქმიანობას, რომლებმაც ფულის დიდი მარაგი დააგროვეს.

სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ საამქროებში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა მიტინგები, მიძღვნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 დეკემბრის დადგენილებისადმი.

მთავარი ენერგეტიკოსის განყოფილებაში მიტინგი გახსნა ინჟინერმა ამხ. პ. გოგავამ. მიტინგის დამსწრეთ დადგენილების ტექსტი წაუკითხა ქარხნის მთავარმა ენერგეტიკოსმა ამხ. ა. კაკაურიძემ.

— ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, — ამბობს ამხ. ა. კაკაურიძე, — გუშინ უდიდესი სიხარულით მოისმინეს პარტიისა და მთავრობის დადგენილება, რომელიც გამსჭვალულია ხალხის კეთილდღეობისათვის სტალინური მზრუნველობით. როგორც ეს ისტორიული დოკუმენტი მეტყველებს, ჩვენში ომის შედეგების ლიკვიდაცია და ფულის რეფორმა ტარდება არა ხალხის ხარჯზე. პირიქით, ამ ღონისძიების შედეგად მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი მნიშვნელოვნად დიდდება, ვინაიდან რამდენჯერმე მცირდება კომერციული ფასები, ხოლო პურსა და ბურღულზე მცირდება საულუფო ფასებიც. პარტიისა და მთავრობის ამ მზრუნველობას დიმიტროველები, ისე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდებიან და მომავალშიც თავდადებულად იმუშავებენ, რათა განამტკიცონ ჩვენი ქვეყნის ძლიერება.

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიან განყოფილების მოწინავე ადამიანები, რომლებიც ერთსულოვნად იწონებენ დადგენილებას და პირობას სდებენ იმუშაონ უკეთესად, მეტი ნაყოფიერებით, ახალი საწარმოო მიღწევებით გამოხატონ თავიანთი პატრიოტული თავდადება და სიყვარული სამშობლოსადმი.

— საბჭოთა მანეთის განმტკიცებით, — ამბობს ინჟინერი ამხ. კოლესნიჩენკო, — მკვეთრად გაუმჯობესდება ჩვენი ცხოვრების პირობები. გულითადად მივესალმები ახალ დადგენილებას.

— იქაც კი, სადაც მსხვერპლის გაღება არის საჭირო, — ამბობს მღარველი ამხ. მ. რუსიშვილი — პარტია და მთავრობა ყველაფერს აკეთებენ, რათა იგი მშრომელებს მძიმე ტვირთად არ დააწვეს, ხალხის ხარჯზე არ მოხდეს. მსხვერპლის უდიდეს ნაწილს სახელმწიფო კისრულობს. ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენ სოციალიზმის ქვეყანაში ვცხოვრობთ. სიხარულისა და აღტაცების ამ დღეებში განსაკუთრებით გვერჩის გული სტახანოვური მუშაობისათვის.

საამქროთა მიტინგებზე სიტყვებით გამოსულნი, მათ შორის პ. გოგავა, მ. ასათიანი, ვ. ხომკოვი, პ. სივცოვი, გ. ბაღდასაროვი, პ. ჩიქოვანი, ვ. ხოდელი მხურვალედ იწონებდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 დეკემბრის დადგენილებას და კისრულობდნენ ახალ საწარმოო ვალდებულებებს.

სტალინური მზრუნველობა გმირული შრომისათვის აღგვაფრთოვანებს

15 დეკემბერს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ყველა საამქროში შესდგა მიტინგი, მიძღვნილი პარტიისა და მთავრობის ახალი დადგენილებისადმი.

მიტინგებზე გამოსული მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკოსები ერთსულოვნად იწონებდნენ დადგენილებას, მადლობას უძღვნიდნენ საბჭოთა მთავრობას, ჩვენს პარტიას, ხალხთა ბრძენ ბელადს ამხანაგ სტალინს.

ამწყობი საამქროს მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგზე, რომელსაც 400-ზე მეტი კაცი დაესწრო, დადგენილების ტექსტი წაიკითხა ინჟინერმა ს. ბუდეშსკიმ.

სტახანოველმა მექვაბემ ამხ. ა. აბუაშვილმა სთქვა:

— ბოლშევიკურმა პარტიამ ჩვენი ქვეყანა დაღუპვას გადაარჩინა. მან შეგვიქმნა თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრება. ჩვენს პარტიას, ჩვენს მამასა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს არა აქვთ სხვა საზრუნავი, გარდა ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვისა. ამას ერთხელ კიდევ ნათლად ადასტურებს დადგენილება „ფულის რეფორმის გატარებისა და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმების შესახებ“. ამ დადგენილებით მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი არათუ არ მცირდება, არამედ, პირიქით, დიდდება. ეს ღონისძიება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების მტკიცე გარანტიაა. მადლობა ბოლშევიკების პარტიას, საბჭოთა მთავრობას, ხალხთა ბრძენ ბელადს მშობლიურ სტალინს ჩვენზე მზრუნველობისათვის.

პატრიოტი მუშის ბოლო სიტყვებს დამსწრეთა მქუხარე ტაშმა დაფარა.

მექანიკური საამქროს კოლექტივის მიტინგზე სიტყვას ამბობს სტახანოველი ხარატი ი. ჭუმბურიძე.

— ფულის რეფორმის გატარებასთან ერთად გაუქმებულია სასურსათო და სამრეწველო საქონლის საბარათო სისტემა, ამასთან გაუქმებულია მაღალი კომერციული ფასები და შემოღებულია საქონლის ერთიანი სახელმწიფო ფასები. ეს ღონისძიება ხალხისათვის სტალინური მზრუნველობის მკაფიო გამოხატულებაა. იგი გვავალებს ვიმუშაოთ ენერგიის დაუზოგავად, ხუთწლიანი გეგმა შევასრულოთ ოთხ წელიწადში.

ამხ. ჭუმბურიძე ვალდებულებას კისრულობს ყოველდღიურად გეგმა შეასრულოს 300 პროცენტით და მიტინგის მონაწილეებს მოუწოდებს მიბაძონ მის მაგალითს.

— ფულის რეფორმა, — ამბობს საქვაბე საამქროს წარჩინებული სტახანოველი მიხეილ აბუაშვილი, — განამტკიცებს საბჭოთა მანეთს, გაზრდის მუშა-მოსამსახურეთა რეალურ ხელფასს. იგი ხელს შეუწყობს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლებას, უზრუნველჰყოფს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

მადლობა დიდ ბელადს. საბჭოთა მთავრობას

ქუთაისის მშრომელები ღრმა კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 დეკემბრის დადგენილებას. საწარმო-დაწესებულებებში ამ დადგენილების განხილვისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგები იმართება.

კიროვის სახელობის საქსოვი ფაბრიკაში შემდგარ მიტინგს 500-მდე მუშა-მოსამსახურე დაესწრო. ინფორმაციით გამოვიდა პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. დ. კოპალიანი. შემდეგ სიტყვა აიღო № 2 საქსოვი საამქროს უფროსმა ამხ. შ. მიქელაძემ.

— მიღებულია ბრძნული გადაწყვეტილება. იგი კიდევ და კიდევ მკაფიოდ ადასტურებს ჩვენი პარტიისა და მთავრობის უდიდეს ზრუნვას მშრომელთა კეთილდღეობისათვის. დადგენილება დაგვეხმარება წარმატებით შევასრულოთ ხუთწლედი ოთხ წელიწადში. — ამბობს ამხ. მიქელაძე.

საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა ამავე ფაბრიკის მუშამ ქ. ჯალაღანიამ სთქვა:

— საბჭოთა მანეთის განმტკიცება, საბარათო სისტემის გაუქმება ყოველ მშრომელს აძლევს იმის სტიმულს, რომ გამოიმუშაოს მეტი პროდუქცია, გაცილებით მეტი სარგებლობა მოუტანოს სახელმწიფოს და უფრო მეტად აიმაღლოს თავისი მატერიალური დონე. მადლობა დიდ ბელადს, საბჭოთა მთავრობას ამ ბრძნული გადაწყვეტილების მიღებისათვის.

მაუდის ფაბრიკაში, ტყავფეხსაცმლის კომბინატში, საკონსერვო ქარხანაში და ქალაქის სხვა საწარმო-დაწესებულებებში შემდგარ მიტინგებზე გამოსული მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები მხურვალედ იწონებენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებას და ამ უდიდესი ღონისძიების პასუხად კისრულობენ ძალების დაუზოგავად იმუშაონ სამშობლოს ძლიერების განსამტკიცებლად.

საქართველოს ...

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებული შრომით ვუპასუხოთ!

ისტორიული გადაწყვეტილება

ქალაქ გორის მშრომელებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ ფულის რეფორმის გატარებისა და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმების შესახებ.

საღამოს 7 საათისათვის ლენინისა და სტალინის ქუჩებზე მოწყობილ რადიო-მიმღებებთან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. მშრომელები დაძაბული ყურადღებით ისმენდნენ ისტორიულ დადგენილებას.

რადიოს უსმენდნენ ბინებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებში...

საკონსერვო ქარხნის სტახანოველმა, ძველმა მუშამ მარიამ მაზმიშვილმა დადგენილების მოსმენის შემდეგ განაცხადა:

— პარტიისა და მთავრობის დადგენილება ფულის რეფორმის გატარებისა და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმების შესახებ არის საბჭოთა ადამიანისათვის სტალინური მზრუნველობის ახალი გამოხატულება. დიდი სტალინი დაუღალავად ზრუნავს ჩვენთვის. ამ მზრუნველობას თვითეული მშრომელი ახალი შრომითი მამაცობით უპასუხებს! ვალდებულებას ვკისრულობ უფრო კარგად ვიმუშაო, მთელი ჩემი ძალა მოვახმარო ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომი გაძლიერების საქმეს.

ქარხნის აგიტატორები დაწვრილებით განუმარტავენ მუშებს ისტორიულ დადგენილებას.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებამ მძლავრი შრომითი აღმავლობა გამოიწვია საკოლმეურნეო სოფელში. ზემო ხიდისთავის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა რადიოთი მოისმინეს დადგენილება. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ფ. ანასტასოვმა განაცხადა:

— ეს დადგენილება ახალ სტიმულს ჰქმნის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. აქედანვე გავაჩაღებთ ბრძოლას მომავალი წლის უხვი, სტალინური მოსავლის მისაღებად.

რაიონის საწარმოებსა, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში აგიტატორები და გაზეთის წამკითხველმესაუბრენი ფართოდ აცნობენ მშრომელებს პარტიისა და მთავრობის ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას.

შ. ჩუბინიძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

დაზგათმშენებლები გვპირდებიან პროდუქციის გამოშვების გადიდებას

კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივის მიტინგზე დასასწრებად არა მარტო მუშები, არამედ მათი ოჯახის წევრებიც მოსულიყვნენ. ისინი შეიკრიბნენ აქ, რათა კიდევ მოესმინათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილება ფულის რეფორმის გატარებისა და სასურსათო და სამრეწველო საქონლის ბარათების გაუქმების შესახებ. ქარხნის დირექტორმა ი. ხვედელიანმა წაიკითხა დადგენილება.

— ყველა ჩვენგანი, — სთქვა მექანიკური საამქროს უფროსის მოადგილემ ნ. კიზივაძემ, — დღეს ამ დადგენილებით აღფრთოვანებული დიდი ხალისით მუშაობდა. ვამაყობთ ჩვენი სამშობლოთი, ვამაყობთ ჩვენი პარტიის — ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული პოლიტიკით და მზად ვართ კიდევ უფრო თავდადებით ვიმუშაოთ. ჩვენი საამქროს მუშებმა და ინჟინერტექნიკოსებმა დამავალეს განვაცხადო აქ, რომ ამ დადგენილების გამოქვეყნების აღსანიშნავად ვკისრულობთ გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება და დეკემბერში გამოვუშვათ 5 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე ნოემბერში.

სტახანოველთა საერთო განწყობილება და სულისკვეთება გამოხატა თავის სიტყვებში საინსტრუმენტო საამქროს მღარავმა ე. ჩიხრაძემ. მან სთქვა:

— ჩვენ წერილით მივმართეთ თბილისის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა სტახანოველებს აეღოთ ინდივიდუალური ვალდებულებები ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების უზრუნველსაყოფად. ისტორიული დადგენილებით აღფრთოვანებული სიტყვას ვიძლევი განუხრელად შევასრულო პირობა. 20 დეკემბრამდე ორი თვის დავალებას შევასრულებ.

მღარავ ჩიხრაძის მაგალითისამებრ აღებულ ინდივიდუალურ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულება იკისრეს ხარატმა ა. აგაჯანოვმა და მექანიკური საამქროს უბნის ოსტატმა თ. მიასნიკოვმა.

ფეიქართა მიტინგებზე

შესვენებისას თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ ტექნიკოსები საამქროების მიხედვით შეიკრიბნენ მიტინგებზე. პარტიისა და მთავრობის 14 დეკემბრის დადგენილებით აღფრთოვანებულია ფაბრიკის თვითეული მუშაკი.

საქსოვ საამქროში შემდგარ მიტინგზე ინფორმაციით გამოვიდა პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. ხომერიკი. საამქროს მოწინავე მუშაკმა ნინო მელიქიძემ თავისი სიხარული ამ სიტყვებით გაუზიარა ამხანაგებს:—დიდმა სამამულო ომმა საბჭოთა ხალხის ძალთა დაძაბვა და ჩვენი ქვეყნის მთელი მატერიალური რესურსების მობილიზაცია მოითხოვა. ყოველი მშრომელი შეგნებულად ხვდებოდა სამშობლოს ამ მოთხოვნას. ჩვენი ფაბრიკის კოლექტივს თავისი პატიოსანი, გულმოდგინე შრომით წვლილი შეჰქონდა მტრის განადგურების საქმეში. მშრომელები მტკიცედ სძლევდნენ ომით შექმნილ სიძნელეებს. ამიერიდან კვლავ შეგვექმნა ნორმალური, საამური ცხოვრების პირობები.

— ბოლშევიკების პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის ზრუნავდა და ზრუნავს ხალხის მატერიალურსაყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის, — სთქვა საქსოვი საამქროს მესამე კომპლექტის ქვეოსტატმა დ. ალიბეგაშვილმა. ამ ზრუნვის პასუხად ჩვენ უფრო მეტი თავდადებით უნდა ვიმუშაოთ.

უპარტიო მუშამ მქსოველმა ოთხდაზგოსანმა ეკ. ნიკულინამ მიმდინარე წელს ორნახევარი წლის გეგმა შეასრულა. მიტინგზე მან განაცხადა:—ჩვენი პარტიისა და მთავრობის ღონისძიებანი მიმართულია მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ. ეს ახალ ძალას მმატებს. უფრო მეტი ენერგიით ვიმუშავებ, უფრო მეტ პროდუქციას მივცემ სამშობლოს და ამით საუკეთესოდ მოვაწყობ ჩემს პირად ცხოვრებასაც.

მოსამზადებელ საამქროში შემდგარ მიტინგზე უკლებლივ მოვიდა საამქროს ყველა მუშა. მინისტრთა საბჭოსა და ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მათ გააცნო საამქროს უფროსმა ფაბრიკის პარტბიუროს მდივნის მოადგილემ ამხ. ა. სიამაშვილმა. საამქროს სტახანოველებმა მქსელავებმა ლ. ციცქიშვილმა, მ. მაისაშვილმა, მემასრე ე. სოლოღაშვილმა და სახვევი განყოფილების ინსტრუქტორმა ვ. ნასყიდაშვილმა ილაპარაკეს თუ რა სიხარული გამოიწვია მათში ამ დადგენილებამ, რომელიც მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების დიდი ღონისძიებაა, და გამოხატავს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას. მათ განაცხადეს, რომ მეტი მონდომებით, ახალი ენერგიით იმუშავებენ ჩვენი ქვეყნის სამხედრო-ეკონომიური ძლიერების შემდგომი აღმავლობისათვის.

მიტინგი შედგა სამღებრო-საპრეტურო საამქროშიც.

დამთავრდა შესვენება. ისევ აგრიალდა დაზგები. მუშები, ოსტატები და სპეციალისტები ახალი ენერგიით შეუდგნენ შრომას.

რკინიგზელების ერთსულოვანი გადაწყვეტილება

იშვიათად შეკრებილან ისეთი აღფრთოვანებით თბილისის სატვირთო სადგურის მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები, როგორც 15 დეკემბერს. მუშაობის დამთავრებისთანავე ყველამ უკლებლივ მოიყარა თავი, რათა ურთიერთისათვის გაეზიარებინათ თავიანთი სიხარული. შედგა სახელდახელო მიტინგი, რომელიც გახსნა ადგილობრივი პროფორგანიზაციის თავმჯდომარემ ვ. ჯლამაიამ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 14 დეკემბრის ისტორიული დადგენილება შეკრებილთ წაუკითხა პარტორგანიზაციის მდივანმა ვ. გაბრიჩიძემ.

სახელდახელო ტრიბუნაზე ერთიმეორეს სცვლიდნენ მუშა-ორატორები — მეისრე ა. კაკაშვილი, ინჟინერი ა. ჩაგუნავა, მატარებელთა შემდგენი ს. ლონლაძე, მწონავები გ. ჯანიაშვილი, ს. ნოზაძე და სხვები. ისინი ერთსულოვნად მიესალმებოდნენ პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს დადგენილებას — ფულის რეფორმის გატარებისა და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმების შესახებ და კისრულობდნენ ვალდებულებას მომავალში უფრო მაღალნაყოფიერად იმუშაონ.

— ვიმუშავებთ კიდევ უკეთესად, ვიდრე დღემდე ვმუშაობდით!—ასეთი იყო თბილისის რკინიგზის სატვირთო სადგურის კოლექტივის ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

სტალინის სახელობის რაიონი

მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 65 საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის მინისტრი **ლონგინოზ ალექსანდრეს-ძე რუხაძე**, № 66 ოლქში—მაუდ-კამვოლის ფაბრიკის დირექტორი **ნიკოლოზ იაგორის-ძე თუშიშვილი**, № 67 ოლქში — ამავე ფაბრიკის სტახანოველი **ელენე ივანეს ასული დენისენკო**, № 69 ოლქში—სტახანოველი მუშა **ნადია ერასტის ასული ზარქუა**, № 72 ოლქში — სტახანოველი **ლუდმილა პავლეს ასული ასათიანი**, № 71 ოლქში—ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი **გიორგი დავითის-ძე ჩარაევი**.

საგზაო მშენებლობის სამმართველომ № 74 საარჩევნო ოლქში თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ინჟინერი **მიხეილ ტარასის-ძე სანიკიძე**, № 73 ოლქში — საგზაო მშენებლობის სამმართველოს უფროსი **ვიქტორ ქრისტეფორეს-ძე მარშანია**, № 81 ოლქში—სამმართველოს უფროსის მოადგილე **ბაბკენ მამიკონის-ძე ტერ-დანელიანი**.

სტომატოლოგიური ინსტიტუტის კოლექტივმა საქალაქო საბჭოს არჩევნების № 82 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ანა სპირიდონის ასული მენაბდე**.

კუიბიშევის სახელობის მექანიკური ქარხნის კოლექტივის მიერ № 83 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების მთავარი ინჟინერი **ვახტანგ დიმიტრის-ძე ეპიტაშვილი**.

„საქშახტმშენის" კოლექტივმა № 86 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა სამმართველოს უფროსი **ლევან ალექსანდრეს-ძე მარიახინი**, № 118 ოლქში — კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში **ზინაიდა არსენის ასული კვაჭაძე**.

რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კოლექტივმა № 111 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი **კირიაკ სამსონის-ძე ზავრიევი**, № 96 ოლქში — ამავე ინსტიტუტის დირექტორი **მიხეილ გიორგის-ძე კობახიძე**, № 94 ოლქში—უცხო ენათა კათედრის უფროსი მასწავლებელი **თამარ ბეგლარის ასული კორძაია**, № 123 ოლქში—ამავე ინსტიტუტის ასისტენტი **ელეონორა ივანეს ასული ანდღულაძე**.

რძის ქარხნის კოლექტივმა № 109 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგე **ვლადიმერ იოსების-ძე ჩომახიძე**, № 136 ოლქში—რძის ქარხნის სპეციალისტი **ნინო კირილეს ასული ვარდიშვილი**.

მეორე სამშობიარო სახლის კოლექტივმა № 95 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ექიმი **მიხეილ ნიკოლოზის-ძე ჟორჟოლიანი**.

მუსიკალური კომედიის თეატრის კოლექტივმა № 92 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ამავე თეატრის დირექტორი და სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელი **დავით ყარამანის-ძე ძნელაძე**.

არტელ „ძაფმაუდის" კოლექტივის მიერ № 91 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია სტახანოველი **თებრონე თევდორეს ასული თვაური**.

„თბილმშენის" მეორე ქარხანამ № 88 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ამავე ქარხნის მთავარი ინჟინერი **ოლღა ვასილის ასული სერდიუკოვა** და № 117 ოლქში — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მშენებლობისა და ქალაქის მეურნეობის განყოფილების გამგე **გიორგი დავითის-ძე თავამაიშვილი**.

სანკულტურის თეატრის კოლექტივმა № 119 საარჩევნო ოლქში საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ამავე თეატრის დირექტორი **ვიქტორ ათანასეს-ძე ნინიძე**.

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხნის კოლექტივმა № 120 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი **გიორგი ანდრიას-ძე გეგეშიძე**, № 126 ოლქში—ამავე ქარხნის საინსტრუმენტო საამქროს უფროსი **ვარვარა კლიმენტის ასული ჯუღელი**.

მე-17 საშუალო სკოლის კოლექტივმა № 124 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ამავე სკოლის დირექტორი **ვერა ვასილის ასული ბენაშვილი**.

საპროტეზო ჰოსპიტლის კოლექტივმა № 125 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა პროფესორი **ეგნატე კალისტრატეს-ძე ფიფია**.

ვენერიულ დაავადებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა № 127 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა ამავე ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი **ასია არტემის ასული კასუმოვა**.

თამბაქოს პირველი ფაბრიკის კოლექტივის მიერ № 128 ოლქში დასახელებულია ამავე ფაბრიკის სტახანოველი **ვალენტინა სტეფანეს ასული წულუკიძე**, № 130 ოლქში — ფაბრიკის დირექტორი **ვალერიან გიორგის-ძე ელისაბედაშვილი**.

ლუდის მეორე ქარხანამ № 131 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა ამავე ქარხნის დირექტორის მოადგილე **ზინაიდა ერმილეს ასული გუჯაბიძე**.

მაცივრის კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 98 საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე მილიციის დარგში **კაპიტონ გრიგოლის-ძე ნაჭყებია**.

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა დეპუტატობის კანდიდატად № 77 საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი **გიორგი მიხეილის-ძე მუხაძე**, № 104 ოლქში—ამავე ინსტიტუტის დირექტორი **არტემ პეტრეს-ძე ბოჯგუა**, № 116 ოლქში—ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი **ივანე ბესარიონის-ძე სხირტლაძე**, № 106 ოლქში —საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი **გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძე**, № 97 ოლქში —საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **ვიქტორ დიმიტრის-ძე კუპრაძე**.

ლითონკონსტრუქციის ქარხნის კოლექტივმა № 85 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ამავე ქარხნის დირექტორი **იოსებ ნიკოლოზის-ძე უსოვი**.

„გლავმეტალსნაბის" კოლექტივმა № 70 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა **მიხეილ გიორგის-ძე მემარნიშვილი**.

კიროვის სახელობის რაიონი

თბილისის „საზკვებტრესტის" კოლექტივმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 303 საარჩევნო ოლქში წამოაყენა „საზკვებტრესტის" დირექტორი **სერგი არჩილის-ძე აბაშიძე**.

„თბილვაჭრობის" სამკერვალო კომბინატის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 301 საარჩევნო ოლქში დაასახელა მკერავი **ვართანუშ სტეფანეს ასული არუთინოვა**.

ძაფსართავი ფაბრიკის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 293 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე ფაბრიკის დირექტორი **ლუსია გრიგოლის ასული ბაბაიანი**.

მე-6 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 299 საარჩევნო ოლქში წამოაყენა მკერავი **არშაკ აბრამის-ძე გაბრიელიანი**, № 314 საარჩევნო ოლქში — ფაბრიკის დირექტორი ამხ. **სოფიო იოსების ასული ვაშაძე**.

ტყავეულის მე-2 ქარხნის კოლექტივის მიერ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 276 საარჩევნო ოლქში დასახელებულია მუშა **მარიამ გიორგის ასული ბიკაშვილი**.

ბალნეოლოგიური კურორტის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 317 საარჩევნო ოლქში დაასახელა ექიმი **ნინო სიმონის ასული ძაგანია**.

კომუნალური ბანკის კოლექტივის მიერ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 322 საარჩევნო ოლქში წამოყენებულია ბანკის მმართველი **პოლიკარპე ნიკიფორეს-ძე კვიცარიძე**, № 325 საარჩევნო ოლქში — საგეგმოეკონომიური განყოფილების უფროსი **ნიკოლოზ იასონის-ძე ლორთქიფანიძე**.

ტყავეულის პირველი ქარხნის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 278 საარჩევნო ოლქში დაასახელა მუშა **ანასტასია ანდრიას ასული ლუნინა**, № 279 საარჩევნო ოლქში — ქარხნის დირექტორი **გიორგი ილარიონის-ძე ხაზარაძე**.

მე-3 სახელოსნო სასწავლებლის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 319 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე სასწავლებლის პედაგოგი **დიმიტრი ივანეს-ძე მარკოვსკი**.

მე-14 სახელოსნო სასწავლებლის კოლექტივის მიერ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 286 საარჩევნო ოლქში დასახელებულია ინჟინერ-მექანიკოსი **არტემ სოლომონის-ძე იაშვილი**.

ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის" კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად № 323 საარჩევნო ოლქში დაასახელა ფაბრიკის დირექტორი **ოლღა ნიკოლოზის ასული მდინარაძე**.

ქალთა მე-3 სკოლის კოლექტივმა № 309 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა სკოლის დირექტორი **მარიამ ივანეს ასული მახარაძე**.

მე-12 პოლიკლინიკის კოლექტივის მიერ № 327 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია ქირურგი **თამარ ესტატეს ასული მეძველია**.

ცელულოიდის ფაბრიკის კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად № 275 საარჩევნო ოლქში დაასახელა მუშა **მარიამ იაკობის ასული მიკოლენკო**.

პლასტრეზინის ფაბრიკის კოლექტივის მიერ № 280 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულია ფაბრიკის მუშა **ქსენია სერგის ასული ტრუბინა**.

ორჯონიკიძის სახელობის რაიონი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 346 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი **თამარ ნიკოლოზის ასული ქვლივიძე**.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციისა და გამომცემლობის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 392 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე **გიორგი ნიკოლოზის-ძე ჯიბლაძე**, № 351 საარჩევნო ოლქში — გაზეთ „კომუნისტის" პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **ილია ალექსის-ძე ნატროშვილი**.

„საქსახპროექტის" მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 330 საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქიტექტურო სამმართველოს უფროსი **არჩილ გრიგოლის-ძე ქურდიანი**, № 380 საარჩევნო ოლქში — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი დიმიტრის-ძე ბეჟანიშვილი**, № 335 საარჩევნო ოლქში — „საქსახპროექტის" ინჟინერი **ვალიდა გიორგის ასული ჩანტლაძე**.

თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტული ინსტიტუტის სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივისაგან საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 348 საარჩევნო ოლქში დასახელებულია ამავე ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი **იოველ გრიგოლის-ძე ქუთათელაძე**, № 329 საარჩევნო ოლქში — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილე და მთავარი ინჟინერი **დავით აკაკის-ძე ნიკოლაიშვილი**.

საქენერგოს მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის მიერ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 389 საარჩევნო ოლქში დასახელებულია თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ვალერიან ზაქარიას-ძე გურბელაძე**, № 386 საარჩევნო ოლქში — საქენერგოს მთავარი ინჟინერი **ბესარიონ ნოეს-ძე მხეიძე**.

საქართველოს სახელმწიფო ზოოვეტინსტიტუტის სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 373 საარჩევნო ოლქში დაასახელა თბილისის საქალაქო საბჭოს ტრესტ „თბილმშენის" მმართველის მოადგილე და მთავარი ინჟინერი **მირიან სილოვანის-ძე ებრალიძე**, № 383 საარჩევნო ოლქში — ზოოვეტინსტიტუტის დირექტორი **ნიკოლოზ იასონის-ძე ცომაია**, № 355 საარჩევნო ოლქში—ამავე ინსტიტუტის პროფესორი **თომა იორდანეს-ძე მამაიაშვილი**, № 356 საარჩევნო ოლქში—ამავე ინსტიტუტის დოცენტი **ნინო ალექსანდრეს ასული ანთაძე**.

თბილისის ზოოპარკის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 337 საარჩევნო ოლქში დაასახელა ზოოპარკის დირექტორი **კალე მიხეილის-ძე ცეცხლაძე**.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრების მიერ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 366 საარჩევნო ოლქში დასახელებულია უნივერსიტეტის პროფესორი **რევაზ გრიგოლის-ძე ნათაძე**, № 368 საარჩევნო ოლქში — სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი **გიორგი მოსეს-ძე ბახტაძე**, № 387 საარჩევნო ოლქში — უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის გამგე **გიორგი გაბრიელის-ძე ყურაშვილი**, № 391 საარჩევნო ოლქში—უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი **ვალერიან იოსების-ძე დათუკიშვილი**.

ტრესტ „თბილმშენის" № 1 სამშენებლო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის მიერ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 367 საარჩევნო ოლქში დასახელებულია ამავე ქარხნის სტახანოველი ზეინკალი **ვასილ ფილიმონის-ძე შარიქაძე**.

თბილისის ბერიას სახელობის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 382 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე ინსტიტუტის დოცენტი **ქსენია ეფრემის ასული ცხაკაია**, № 375 საარჩევნო ოლქში—დოცენტი **ვერა ანტონის ასული ფხაკაძე**, № 376 საარჩევნო ოლქში—ინსტიტუტის დირექტორი **გიორგი ყარამანის-ძე ურუშაძე**, № 377 საარჩევნო ოლქში—დოცენტი **მარიამ ალექსის ასული სიხარულიძე**, № 378 საარჩევნო ოლქში — პროფესორი **იულონ ნიკოლოზის-ძე ლომოური**.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივის მიერ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 338 საარჩევნო ოლქში დასახელებულია საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე **ოლღა კირილეს ასული პატარაია**, № 332 საარჩევნო ოლქში—მრავალდაზგოსანი სტახანოველი **ალექსანდრა ვლადიმერის ასული სიხარულიძე**, № 333 საარჩევნო ოლქში—ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი **გერმანე ფილიპეს-ძე ხომერიკი**, № 334 საარჩევნო ოლქში — მრავალდაზგოსანი სტახანოველი **ევდოკია სიმონის ასული ნიკულინა**, № 339 საარჩევნო ოლქში—მრავალდაზგოსანი სტახანოველი **ნინო ალექსის ასული პოდრუშნიაკი**, № 343 საარჩევნო ოლქში — ფაბრიკის დირექტორი **ელენე მალხაზის ასული ლავთაძე**.

ფსიქოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკთა კოლექტივმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 352 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი **დიმიტრი ნიკოლოზის-ძე უზნაძე**.

თბილისის ვაჟთა მე-8 საშუალო სკოლის კოლექტივის მიერ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 349 საარჩევნო ოლქში დასახელებულია ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე **ნადეჟდა ლუარსაბის ასული ბალავაძე**.

თბილისის ქალთა მე-5 საშუალო სკოლის კოლექტივმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 369 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე სკოლის დირექტორი **ანა ბარნაბის ასული მახარაძე**.

თბილისის ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლის კოლექტივის მიერ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 371 საარჩევნო ოლქში დასახელებულია ამავე სკოლის პედაგოგი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი **ბარბარე მათეს ასული ვარდიაშვილი**.

თბილისის ქალთა მე-8 საშუალო სკოლის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 341 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე სკოლის პედაგოგი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი **ვალენტინა ივანეს ასული ლოგინოვა**.

სტამბა „კომუნისტის" მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის მიერ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 342 საარჩევნო ოლქში დასახელებულია ამავე სტამბის სტახანოველი მბეჭდავი **პეტრე გიორგის-ძე კაციაშვილი**.

თბილისის პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკთა კოლექტივმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 347 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე ინსტიტუტის დირექტორი **დავით ონისიმეს-ძე ლორთქიფანიძე**, № 365 საარჩევნო ოლქში— თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების გამგე **ზაქარია ნიკოლოზის-ძე მუჩიაშვილი**.

პურის № 3 ქარხნის კოლექტივმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 390 საარჩევნო ოლქში დაასახელა თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე **მიხეილ გიორგის-ძე შეყლაშვილი**.

ავეჯის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის მიერ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 381 საარჩევნო ოლქში დასახელებულია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგის მოადგილე **ეთერ ნიკოლოზის ასული მაზანაშვილი**, № 350 საარჩევნო ოლქში — ამავე ფაბრიკის დირექტორი **მიხეილ დავითის-ძე ლასურაშვილი**.

„თბილჰიდროპროექტის" მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 331 საარჩევნო ოლქში დაასახელა „ხრამჰესის" მშენებლობის მთავარი ინჟინერი **არონ მარკოზის-ძე გინდინი**, № 372 საარჩევნო ოლქში — „თბილჰიდროპროექტის" მთავარი ინჟინერი **ალექსანდრე ანდრიას-ძე ლოსაბერიძე**.

სამტრესტის კონიაკ-არყის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 388 საარჩევნო ოლქში დაასახელა ამავე ქარხნის მთავარი სპეციალისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი **ვახტანგ დავითის-ძე ციციშვილი**.

სამკურნალო კომბინატის მუშაკთა კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 384 საარჩევნო ოლქში დაასახელა კომბინატის დირექტორი **პეტრე გაბრიელის-ძე კერესელიძე**.

ტუბერკულოზის საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 398 საარჩევნო ოლქში დაასახელა საავადმყოფოს დირექტორი, პროფესორი **გიორგი ვლადიმერის-ძე მესტიაშვილი**.

აბანო-სამრეცხაოებისა და საპარიკმახერო მეურნეობის ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის მიერ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 353 საარჩევნო ოლქში დასახელებულია ტრესტის მმართველი **რუბენ ალექსანდრეს-ძე ფირუმოვი**.

თბილისის სახელმწიფო ცირკის კოლექტივმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 385 საარჩევნო ოლქში დაასახელა ცირკის დირექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი **ვლადიმერ ლონგინოზის-ძე კავსაძე**.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ლონდონის სესიაზე

გერმანიაში ასაღებ რეპარაციათა შესახებ

ლონდონი, 12 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ... სხდომას განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ: მინისტრებს უნდა შესდგომოდნენ გერმანიის მიმართ გამოსაყენებელი რიგი ეკონომიური პრინციპების შესახებ საბჭოთა დელეგაციის წინადადებათა განხილვას. მათ შორის უნდა განეხილათ წინადადებები რურისადმი ოთხმხრივი კონტროლის ..., გერმანიის ოკუპაციის ამერიკისა და ... ზონების გაერთიანებაზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სეპარატული შეთანხმებათა გაუქმებისა და გერმანიის ... ერთიანობის აღდგენის შესახებ, აგრეთვე საბჭოთა წინადადებანი რეპარაციათა შესახებ.

ლონდონის სესიის პირველი დღიდანვე ცხადი იყო, რომ ამერიკის დელეგაციამ ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციათა მხარდაჭერით წინასწარ გადასწყვიტა გერმანიისაგან ... გერმანიის ოლქების ჩამოშორება და ... დემაგოგიური თამაშისათვის გა... რეპარაციის საკითხი. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა 10 დეკემბრის სხდომის შემდეგ, როცა მარშალმა, ამ სხდომაზე ... საკითხებთან პირდაპირი კავშირის ..., მოულოდნელად მოითხოვა, რომ სსრ კავშირმა უარი სთქვას გერმანიისაგან კუთვნილ რეპარაციებზე. ...

...მავლობაში ჩალის ფასად ყიდულობდნენ, შემდეგ კი ჰყიდდნენ რურის ქვანახშირს და ამით დიდ სარგებელს იღებდნენ. ხომ არ შეიძლება ორშაბათს მივიღოთ ცნობები იმის შესახებაც, თუ რა მოგება მიიღეს ინგლისელმა და სხვა შუამავლებმა დასავლეთი ზონების გერმანული ქვანახშირის, აგრეთვე გერმანული ხე-ტყის გაყიდვით? საბჭოთა დელეგაციას სურს მიიღოს ცნობები ამ საკითხზე და ზოგიერთ სხვა საკითხზე საფრანგეთის ზონის შესახებაც.

ბევინმა გაჯავრებული კილოთი დაუსაბუთებლად განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობას არავითარი მოგება არ მიუღია რურის ქვანახშირის გაყიდვის დროს, ხოლო რაც შეეხება ხე-ტყეს, „ის შესყიდულ იქნა ტორიგებით". ბევინი იქვე მოჰყვა ფანტასტიკურ მონაჭორს გერმანიაში საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების სარეპარაციო პოლიტიკის შესახებ. თავისი უპასუხისმგებლო მტკიცება მან ვერაფრით ვერ დაადასტურა და თვითონვე აღიარა, რომ „მათი შემოწმება შეუძლებელია".

მარშალმა, თავის მხრივ, აგრეთვე ვერავითარი დამამტკიცებელი საბუთი ვერ მოიყვანა თავისი სიტყვების დასადასტურებლად და სთქვა, რომ ამერიკის ზონაში „არავითარი ქონება არ შეუძენიათ კერძო პირებს ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას" და „ქვანახშირის ან ხე-ტყის გაყიდვით არ ყოფილა მიღებული რაიმე მოგება, რომელიც მთლიანად გერმანიის ეკონომიკაში არ დაბრუნებულიყოს".

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცნობები სრულიად განსხვავდება იმ ცნობებისაგან, რომლებიც ყოველდღიურად ქვეყნდება მსოფლიო პრესაში იმის შესახებ, რაც ნამდვილად ხდება გერმანიის დასავლეთ ზონებში.

შემდეგ საბჭომ განიხილა საბჭოთა წინადადებების პუნქტი, რომელშიც ნათქვამია „რადგან რურის ოლქის მრეწველობა გერმანული იმპერიალიზმის მთავარი ბაზა იყო, დაექვემდებაროს რურის სამრეწველო ოლქი დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული ...

ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლა 12 დეკემბრის სხდომაზე

გერმანია და რეპარაციის საკითხი

I

რა მდგომარეობაშია რეპარაციების საქმე

II

რა ხდება დასავლეთ ზონებში

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა მოისმინა საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. ი. ტუსკაძის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ.

— აფხაზეთის პარტიულმა ორგანიზაციამ, — ამბობს მომხსენებელი, — ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია. გათვალისწინებულ ვადებში შეიქმნა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქები, უბნები და საარჩევნო კომისიები. შექმნილია აფხაზეთის ასსრ რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების 2.509 საარჩევნო ოლქი. ყველა საარჩევნო უბანთან ჩამოყალიბებულია აგიტპუნქტი. გაიზარდა აგიტატორთა და პროპაგანდისტთა რაოდენობა. საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე აფხაზეთში 4.227 აგიტატორი და პროპაგანდისტი მუშაობდა, ახლა მუშაობს 6.116. გაუმჯობესდა ლექციური პროპაგანდის ხარისხი. მარტო ნოემბერში 216 ლექცია და მოხსენება მოეწყო სსრ კავშირის კონსტიტუციის, საბჭოთა დემოკრატიის, საერთაშორისო მდგომარეობის, მეოთხე ხუთწლედის საკითხებზე.

პარტიის რაიკომებმა, საქალაქო კომიტეტებმა და მთელმა რიგმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა არჩევნებისათვის მზადების დღეებში მშრომელთა შორის ფართოდ გააჩაღეს სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ პარტიის სოხუმის საქალაქო ორგანიზაციის, გალის, ოჩამჩირისა და გუდაუთის რაიონების მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობა.

არჩევნებისათვის მზადების საქმეში არის ნაკლოვანებებიც. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეის სასოფლო საბჭოში არადამაკმაყოფილებელია მუშაობა ამომრჩეველთა შორის. აგიტატორები იშვიათად ატარებენ საუბრებს. ზოგიერთი მათგანი თვითონ ვერ ერკვევა საბჭოთა საარჩევნო სისტემის საკითხებში. საკოლმეურნეო და ტერიტორიული პარტორგანიზაციები არ ზრუნავენ სააგიტაციო მუშაობის გაუმჯობესებისათვის, არ ამოწმებენ აგიტატორების მუშაობას და არ ეხმარებიან მათ. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა გალის რაიონის სოფელ ჩხორთოლისა და მუხურის სასოფლო საბჭოებში.

დასასრულ ამხ. ტუსკაძემ ილაპარაკა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გაძლიერების ღონისძიებებზე.

მოხსენების გამო კამათში პირველი გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) გუდაუთის რაიკომის მდივანი ამხ. დ. ჯანჯღავა.

— რაიონის მშრომელები,—სთქვა მან,—დიდი მონდომებით სწავლობენ საარჩევნო კანონს და ცხოველ ინტერესს იჩენენ საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებისადმი. ყველა 41 საარჩევნო უბანში მოწყობილია აგიტპუნქტი. აგიტპუნქტებსა და კოლმეურნეობებში მუშაობს 950 აგიტატორი. შექმნილია არჩევნების დებულების შემსწავლელი 81 წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 1.270 ამომრჩეველი. საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით კოლმეურნეობებში და საარჩევნო უბნებში ეწყობა კონცერტები და მხატვრული თვითმოქმედების საღამოები.

— სოხუმის პარტიულმა ორგანიზაციამ,—სთქვა საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ქანდარიამ,—არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით მოსახლეობაში სამუშაოდ დამატებით გამოჰყო 635 აგიტატორი. ამჟამად ქალაქში სააგიტაციო მუშაობას ეწევა 1.440 აგიტატორი. აგიტკოლექტივებისა და აგიტპუნქტების ხელმძღვანელთა სემინარი მოეწყო 12-ჯერ, აგიტატორთა თათბირი—4-ჯერ. საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების წამოყენებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრებები დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობით ჩატარდა. ფართო საგიტაციო-მასობრივ მუშაობას ეწევიან ამომრჩეველთა შორის აგიტპუნქტები. მათ მიერ მოწყობილია 56 ლექცია და მოხსენება არჩევნების საკითხებზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. ჩაგუნავამ ილაპარაკა ახალი ინდუსტრიული ქალაქის მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობაზე.

— ლენინგრადელთა მოწოდებას, — ამბობს იგი,—მეშახტეები აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ. ახლა 100-ზე მეტი მაღაროელი მუშაობს ხუთწლიანი გეგმის სამ წელიწადში შესრულებისათვის. ტყვარჩელის საქალაქო საბჭოს არჩევნები პირველად ტარდება. მეშახტეები, ენერგეტიკოსები და ინტელიგენცია განსაკუთრებულ პოლიტიკურ აქტივობას იჩენენ საარჩევნო კამპანიაში. ბერიას სახელობის შახტის, მაზნის და მეორე სანაპირო საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა შორის საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა კარგად არის დაყენებული. არის ნაკლოვანებებიც. ჯანთუხის საარჩევნო უბანში 97 ამომრჩევლიდან, რომლებიც შემოწმებაზე გამოცხადდნენ, 6 გამოტოვებულია სიიდან და 8 ამომრჩევლის გვარი დამახინჯებული აღმოჩნდა. ამგვარი ნაკლოვანებები სხვაგანაც არის. მიღებულია სათანადო ზომები და მდგომარეობა სწორდება.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. მ. ხაშბა შეეხო არჩევნებთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს: ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას საარჩევნო ოლქების მიხედვით, ბიულეტენების შედგენას და სხვ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პარტიის გალის რაიკომის მდივანმა ა. ჭეჟიამ, პარტიის ოჩამჩირის რაიკომის მდივანმა ნ. გვილავამ, გაგრის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის ამსრულებელმა პ. კვეკვეციამ, გ. სტარცევმა, აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა ს. სიგუამ.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება.

ს. შონია

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიონული კონფერენცია

ქალაქ თბილისის ბერიას რაიონის IV პარტიულმა კონფერენციამ მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. ა. გიგოშვილის და რაიკომის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ი. ფრანგულიანის საანგარიშო მოხსენებები.

— რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები,—აღნიშნავს ამხ. გიგოშვილი,—რომელნიც თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში ხელმძღვანელობდნენ დიდი სტალინის მითითებებით, განუხრელად აუმჯობესებდნენ პარტიულ-ორგანიზაციულსა და პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას. პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს ახალი ხუთწლედით დასახული პროგრამის განხორციელების, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის. საანგარიშო პერიოდში პარტიის რიგები თვალსაჩინოდ გაიზარდა. პარტიის წევრად და წევრობის კანდიდატად მიღებულია 4.111 კაცი. გაიზარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების რიცხვი.

რაიონის პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური განათლების საქმეს. 4 ათასზე მეტი კაცი დამოუკიდებლად იმაღლებს იდეურ-პოლიტიკურ დონეს. მათ დასახმარებლად ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებანი.

მომხსენებელი შეეხო ქართველ მწერალთა შორის იდეოლოგიური მუშაობისა და თეატრების მუშაობის საკითხებს, აგრეთვე სკოლების მუშაობას, საწარმოებში კვალიფიციური კადრების მომზადების ღონისძიებებს და რაიონის კეთილმოწყობის საქმეში პარტიული ორგანიზაციების როლს.

ამხ. გიგოშვილმა თავისი მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა ნაკლოვანებათა კრიტიკას და აღნიშნა, რომ ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში ყურადღებას არ უთმობენ პარტიაში მისაღებთა ინდივიდუალურ შესწავლას (საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს და „საქნახშირის" პარტორგანიზაციები). მომხსენებელმა გააკრიტიკა აგრეთვე ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის საქმეში და კომკავშირისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაში არსებული ნაკლოვანებანი.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ვ. ხმალაძემ (საქართველოს სსრ პროკურატურის პარტბიუროს მდივანი), ა. ხელიძემ (საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი), ა. ხორავამ (რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის პარტბიუროს მდივანი), შ. აზმაიფარაშვილმა (ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი), გ. ნატროშვილმა (საქართველოს მწერალთა კავშირის პარტბიუროს მდივანი), ვ. კაპანაძემ (რადიოქარხნის პარტბიუროს მდივანი), ნ. მახარაძემ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის პარტორგანიზაციის მდივანი), ა. მარინაშვილმა (კომკავშირის ბერიას რაიკომი), ქ. კაპანაძემ (პარტიის რაიკომის მდივანი კადრების დარგში) და სხვებმა, სულ 13 კაცმა. კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად, მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

* * *

შესდგა ახლადარჩეული რაიკომის პლენუმი.

პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. გ. ჟორჟიკაშვილი, მეორე მდივნად—ამხ. ვ. ვადაჭკორია და მდივნად კადრების დარგში—ამხ. ქ. კაპანაძე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ კ. ნ. ჩარკვიანი, ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი, გ. თ. სტურუა, ა. ნ. რაფავა, ზ. ნ. კეცხოველი და ე. ი. ჩერქეზია.

ბულგარელი ხალხი მიესალმება სამამულო ფრონტის ახალ მთავრობას

სოფია, 13 დეკემბერი. (საკდეს). ბულგარელი ხალხი მხურვალედ მიესალმება სამამულო ფრონტის განახლებულ მთავრობას, რომელსაც სათავეში უდგას ხალხის ბელადი გ. მ. დიმიტროვი. მთავრობის სახელზე მიღებულ მისალმებებში ნათქვამია, რომ მშრომელნი სამამულო ფრონტის ახალ მთავრობაში ხედავენ რეაქციაზე საბოლოო გამარჯვებისა და ექსპლოატაციის სრული ლიკვიდაციის გარანტიას. მუშები, გლეხები, ხელოსნები და მშრომელი ინტელიგენცია პირობას იძლევიან მთელი თავიანთი ძალღონე და უნარი მოახმარონ სახალხო მეურნეობის ორწლიანი გეგმის ვადამდე განხორციელებას და ბულგარეთის უსწრაფეს ეკონომიურ აყვავებას.

ჩინეთის სახალხო-გამანთავისუფლებელი არმიის წარმატებითი მოქმედება

ჩრდილოეთი შენსი, 15 დეკემბერი. (საკდეს). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ სახალხო-გამანთავისუფლებელი არმია წარმატებით მოქმედებს, და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საომარი ოპერაციების მსვლელობაში სახალხო-გამანთავისუფლებელმა არმიამ ხელთ იგდო დიდი დავლა.

მაგალითისათვის სინხუას სააგენტო ასახელებს შანდუნის პროვინციაში მოქმედი გენერალ ჩენ ის ჯარების ერთ-ერთი ასეულის მოქმედებას. ამ ასეულმა გასულ წელს გომინდანის ჯარებს იმდენი იარაღი წაართვა, რაც მთელი პოლკის შესაიარაღებლად ეყოფა. ასეულის ნადავლი გასული წლის ოქტომბრიდან მიმდინარე წლის ოქტომბრამდე შემდეგია: 700 შაშხანა, 5 სამთო ზარბაზანი, 4 ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი, 20 ნაღმსატყორცნი და გრანატსატყორცნი, 3 ამერიკული ტანკსაწინააღმდეგო თოფი „ბაზუკა", 72 მსუბუქი და მძიმე ტყვიამფრქვევი, 35 ავტომატი, 16 რევოლვერი, 100 ათასი ვაზნა, 2.000 ყუმბარა, 300 მუზარადი, 15 ტელეფონის სადგური, ერთი მოტოციკლი, 3 ავტომანქანა და 30 ცხენი. ასეულმა აგრეთვე ტყვედ ჩაიგდო გომინდანის 77-ე დივიზიის მეთაურის მოადგილე და 1.700 გომინდანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ასეულმა მოსპო ან დასჭრა 400 გომინდანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

აღნიშნულმა ასეულმა მონაწილეობა მიიღო ცნობილ ბრძოლაში მინლიანჯიუსთან (ცენტრალური შანდუნი), სადაც ჩან კაი-შიმ დაჰკარგა 74-ე დივიზიის 28 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომლებიც გაწვრთნილი იყვნენ ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ და ამერიკული იარაღი ჰქონდათ.

ტრუმენის განცხადება იტალიიდან ამერიკის ჯარების გაყვანის საკითხზე

ვაშინგტონი, 14 დეკემბერი. (საკდეს). იმასთან დაკავშირებით, რომ 14 დეკემბერს განზრახულია იტალიიდან ამერიკის ჯარების გამოყვანა, თეთრმა სახლმა გამოაცხადა, რომ ტრუმენმა გააკეთა შემდეგი განცხადება: „თუმცა შეერთებულ შტატებს იტალიიდან თავიანთი ჯარები გამოჰყავთ, რათა შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი საზავო ხელშეკრულების საფუძველზე, ჩვენი ქვეყანა კვლავ დაინტერესებულია თავისუფალი და დამოუკიდებელი იტალიის შენარჩუნებით. თუ მოვლენათა მსვლელობაში გამოირკვა, რომ იტალიის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, რასაც ემყარება მშვიდობიანი მოწესრიგება, უშუალო ან არაპირდაპირი საფრთხე დაემუქრა, შეერთებული შტატები, როგორც საზავო ხელშეკრულების ხელმომწერი მხარე და როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, იძულებული გახდებიან განიხილონ ის საკითხი, თუ რა ღონისძიებებია აღმოჩნდება საჭირო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად".

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრის სპეციალური თანაშემწის სპეკულაციური საქმიანობის გამოაშკარავება

ვაშინგტონი, 14 დეკემბერი. (საკდეს). სენატის ასიგნობათა კომისიამ დაჰკითხა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრის სპეციალური თანაშემწე ნავთის მაგნატი პოული. პოულის წინააღმდეგ წამოყენებულია ბრალდება, რომ მან თავისი პოსტი იმ მიზნით გამოიყენა, რომ პირადი სარგებლობა მიეღო მარცვლეულისა და სხვა საქონლის სპეკულაციის შედეგად. პოულმა აღიარა, რომ იგი სხვადასხვა საქონლის სპეკულაციას ეწეოდა, მაგრამ იცავდა ამგვარ ოპერაციებში მონაწილეობის უფლებას „თავისუფალი ინიციატივის" პრინციპების შესაბამისად.

კომისიის წევრთა შეკითხვების პასუხად პოულმა განაცხადა, რომ როცა სამხედრო მინისტრის სპეციალური თანაშემწის მოვალეობის შესრულებას შეუდგა, მას ჰქონდა ნახევარი მილიონი ბუშელი სიმინდი და შვრია, 300 ათასი გირვანქა ბამბის ზეთი, ნახევარი მილიონი გირვანქა ლიარდი და ტყავეულის ერთგვარი რაოდენობა. პოული ამტკიცებდა, რომ იგი ამ საქონლის ლიკვიდაციას შეუდგა მას შემდეგ, რაც სამხედრო მინისტრის სპეციალური თანაშემწის პოსტი დაიკავა. მაგრამ იგი უარჰყოფდა, რომ თავისი მდგომარეობა სპეკულაციური მიზნებისათვის გამოიყენა. პოულმა გადაკვრით აღნიშნა, რომ კონგრესის ზოგიერთი წევრებიც ეწევიან სხვადასხვა საქონლის სპეკულაციას.

სენატის ასიგნობათა კომისიის სხდომაზე, რომელიც 12 დეკემბერს შესდგა, კომისიის თავმჯდომარემ ბრიჯესმა განაცხადა, რომ მთავრობასთან მჭიდროდ დაკავშირებული პირები დამშეული ხალხების ტანჯვას თავიანთ გასამდიდრებლად იყენებენ, ხოლო ამავე დროს „ჰუმანიზმის დამცველთა" პოზას იღებენ. ბრიჯესი ამტკიცებდა, დამსწრენი უხერხულობას იგრძნობენ, იმათი გვარები რომ გამოქვეყნდეს, რომლებიც მარცვლეულის სპეკულაციაში მონაწილეობენო. მაგრამ სენატორმა-რესპუბლიკელმა ფერგიუსონმა განაცხადა, რომ მთავრობა უარს ამბობს აცნობოს სენატს იმ პირთა გვარები, რომლებიც დიდი მასშტაბის სპეკულაციას ეწევიან სასაქონლო ბირჟებზე.

პოულის დაკითხვის დროს სენატორმა—დემოკრატიული პარტიის წევრმა ოკლაჰომის შტატიდან ტომასმა, რომელიც, როგორც ხმები დადის, ხორბლისა და სხვა საქონლის დიდი სპეკულანტია, ის აზრი გამოსთქვა, რომ ამჟამად ზოგიერთი საქონლის ფასები „მეტად მაღალი კი არ არის", არამედ „მეტად დაბალია".

მონარქისტ-ფაშისტების თვითნებობა საბერძნეთში

რომი, 14 დეკემბერი. (საკდეს). „ელევთერი ელადის" სააგენტომ საბერძნეთის დემოკრატიული არმიის რადიოსადგურის საშუალებით ცნობა გადასცა, რომ საბერძნეთის ხელისუფალნი კვლავ აძევებენ მთელი რაიონების მცხოვრებლებს. მიუხედავად სოფლების განცხადებისა, გლეხები თავიანთ სახლებში ბრუნდებიან, თვით სოფლების განკარგულებით იტეას სექტორიდან გადასახლებული არიან 12 სოფლის მცხოვრებნი.

სალონიკის, პოლიგიროსისა და სხვა ქალაქების ქუჩებში უსახლკაროდ და უსმელ-უჭმელად დადის 1.700 გლეხის ოჯახი. სააგენტო აღნიშნავს, რომ გადასახლების დროს მოსახლეობისადმი მონარქისტ-ფაშისტების მოპყრობა სადიზმის, ბარბაროსობისა და არაადამიანურობის ყოველგვარ ზღვარს აჭარბებს. მონარქისტ-ფაშისტებმა დემოკრატიული არმიის მოქმედების რაიონში „მკვდარი ზონის" მოწყობისას გადასწვეს სოფელი ადენარა, ხოლო წინასწარ ყველა სახლი გაძარცვეს. ამ სოფლის მცხოვრებნი გრევენაში გარეკეს. სააგენტო გადმოგვცემს, რომ საბერძნეთის მთავრობის ცნობებით, საბერძნეთში 400 ათასი უსახლკაროა.

მდგომარეობა ირანის აზერბაიჯანში

თეირანი, (საკდეს). გაზეთი „კესრა" სწერს, რომ ამჟამად ირანის აზერბაიჯანში გამეფებულია სილატაკე. ვაჭრობა და მრეწველობა მოდუნებულია. მძიმე მდგომარეობა ათასობით მუშებისა, აგრეთვე განადგურებული გლეხებისა, რომელთაც საშუალება არ მოეპოვებათ ტანისამოსისა და საზრდოს შესაძენად, მძლავრდება ხელისუფალთა აღვირახსნილი თვითნებობით. გადასახადთა ტვირთი აუტანელია. გაზეთი სწერს, რომ თვით მთავრობის მოხელეები გულმოდგინედ ავრცელებენ მოსახლეობაში ოპიუმსა და ალკოჰოლს. გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე, რომ ირანის აზერბაიჯანში არ არიან ექიმები, არ არის მედიკამენტები, ფართოდ გავრცელებულია მალარია, ტრაქომა და სხვა ავადმყოფობანი. ირანის აზერბაიჯანში, — სწერს გაზეთი, — უკანასკნელ წელს არაფერი გაკეთებულა, გარდა სხვადასხვა „რეფორმის" დაპირებისა.

საყოველთაო გაფიცვა რომში

რომი, (საკდეს). იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობამ უარი სთქვა მიეღო რომის პროვინციის პროფკავშირთა მოთხოვნა, ქალაქ რომსა და რომის ოლქში დღეს საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა. ქრისტიან დემოკრატთა პარტიის წარმომადგენლებმა შრომის პალატის აღმასრულებელ კომიტეტში გაფიცვის წინააღმდეგ მისცეს ხმა. ამით ქრისტიან დემოკრატთა პარტიის რომის კომიტეტმა და კათოლიკურ პროფკავშირთა ლიდერებმა რადიოს და ფურცლების საშუალებით შტრეიკბრეხერობისაკენ მოუწოდეს მშრომელთ.

გაფიცვის გამოცხადების რამდენიმე საათის წინ დე გასპერიმ და მისმა მინისტრებმა თათბირზე მიიწვიეს რომის პოლიციის უფროსი, კარაბინერთა კორპუსის სარდალი და რომის პრეფექტი.

დღეს დილით გამოსული გაზეთები იუწყებიან, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა შელბამ მობილიზაცია უყო რომის მთელი საპოლიციო ძალების შემადგენლობას და „დამხმარე ძალები" მოითხოვა არმიისაგან, რათა შტრეიკბრეხერთა „თავისუფალი შრომა დაიცვას".

დღეს შესდგება მთავრობისა და შრომის პალატის წარმომადგენელთა ახალი თათბირი შეთანხმების შესაძლებლობის განსახილველად.

თბილისი. მოლოტოვის რაიონის მე-5 საარჩევნო უბნის აქტივისტი ქალი ნინო ჩიხლაძე მერკვილაძის ქუჩაზე მდებარე № 17 სახლში მცხოვრები დიასახლისი ამომრჩევლების გ. ბარსონიძისა და ს. პეტიაკოვას თანდასწრებით ამოწმებს ამომრჩეველთა სიას.

ფოტო რ. აკოფოვისა და ელ. გინზბურგისა

კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის საიუბილეო საღამო

გუშინ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში გაიმართა დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 75 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა აკაკი ხორავამ.

მოხსენება თემაზე: „ზაქარია ფალიაშვილი — ქართული საოპერო ხელოვნების ფუძემდებელი" გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსმა ამხ. რ. შადურმა.

საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ: სტალინური პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. წუწუნავა, სტალინური პრემიის ლაურეატები ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები გ. კილაძე და შ. მშველიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი შ. დადიანი, მწერალი დ. შენგელაია. ზ. ფალიაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა ი. ნონეშვილმა.

სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის საიუბილეო საღამოზე სპეციალურად ჩამოსული სტუმრები — თურქმენეთის სსრ რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე ა. ავაზოვი და ერევნის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, კომპოზიტორი ტერ-გევონდიანი.

დასასრულ გაიმართა კონცერტი. შესრულებული იყო ზაქარია ფალიაშვილის ნაწარმოებები: ოპერა „აბესალომ და ეთერის" მესამე მოქმედება, საბავშვო საგუნდო სიმღერები, რომანსები, ნაწყვეტები ოპერა „ლატავრადან" და „დაისიდან" და სხვ.

კონცერტს ხელმძღვანელობდა ა. ვასაძე.

* * *

14 დეკემბერს, დღის სამ საათზე დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის საფლავზე ოპერის თეატრის ბაღში დიდძალი ხალხი შეიკრიბა.

ზ. ფალიაშვილის საფლავს გვირგვინებით ამკობენ. აქ არის გვირგვინები თბილისის ყველა თეატრისაგან, კომპოზიტორთა კავშირის, ხელოვნების მუშაკთა კავშირის, მწერალთა კავშირის, თბილისის კონსერვატორიისა და ზ. ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის, საქართველოს ფილარმონიის, სამხატვრო აკადემიისა და თბილისის სხვა დაწესებულებებისაგან.

ზაქარია ფალიაშვილის საფლავთან საპატიო ყარაულში დგებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი ამხ. რ. შადური და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. გ. ჯიბლაძე. მათ სცვლიან სტალინური პრემიის ლაურეატები რესპუბლიკის სახალხო არტისტები დ. ანდღულაძე და პ. ამირანაშვილი. საპატიო ყარაულში ერთმანეთს სცვლიან კომპოზიტორები, მსახიობები, მხატვრები, მწერლები, კულტურის მოღვაწენი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება პარასკევს, 19 დეკემბერს, მასწავლებლის სახლის დარბაზში (ფურცელაძის ქ. № 3) აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **ვლ. კალანდაძის** ლექციას თემაზე: **„მალარიის გადამტანი და მასთან ბრძოლის თანამედროვე საშუალებანი".**

ლექციის შინაარსი: მალარია და მისი გავრცელება საქართველოში; მალარიის გადამტანის აღმოჩენის ისტორია, მისი სახეობრივი შემადგენლობა; მალარიის კოღოების გამრავლება-განვითარების თავისებურებანი; კოღოების მალარიის პარაზიტით დასნებოვნება; მალარიის კოღოებთან ბრძოლის სხვადასხვა საშუალებანი; ახალი პრეპარატები კოღოებთან საბრძოლველად; თევზი გამბუზია და მისი როლი მალარიის კოღოებთან ბრძოლის საქმეში.

ლექციის დროს იწარმოებს საილუსტრაციო მასალის დემონსტრაცია. ლექციის შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოსურათი „მალარია და მასთან ბრძოლა".

ლექციის დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთების წინასწარ გაყიდვა სწარმოებს მასწავლებლის სახლის სალაროში საღამოს 6-დან 9 საათამდე და „აკადემიური წიგნის" მაღაზიაში (რუსთაველის პროსპექტი № 19) დილის 9-დან საღამოს 5 საათამდე. კოლექტიური განცხადებები მიიღება ტელეფონით—3—55—22.

საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 30 დეკემბერს, დღის 12 საათზე ინსტიტუტის სააქტო დარბაზში შესდგება სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზეც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

მ. ვ. კოლელიშვილი თემაზე: „Исследование дикорастущего инжира Туркмении".

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი დოქტორი **ნ. მ. ხომიზურაშვილი**, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი მ. მ. თოფურიძე.

ა. გ. ათაკიშევი თემაზე: „Изучение и агротехнологическая характеристика сортов винограда Агдамского района АзССР".

ოფიციალური ოპონენტები მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი დოქტორი **ნ. მ. ხომიზურაშვილი**, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ვ. ი. ქანთარია.**

სადისერტაციო ნაშრომების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

შვილები ელიოშა, პლატონ, კალენიკე, ლიდა და ზესო ოჯახებით იუწყებიან **კახნი ალექსანდრეს ასულ გადახაბაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-XII სუფსაში.

აბელ თედიდიშვილი შვილებით იუწყება **ისაკ იაკობის-ძე მინოვიჩის** გარდაცვალებას.

შვილი მარუსა, სიძე გრიშა ჩიტაიშვილები შვილებით იუწყებიან **პელაგია გაბრიელის ასულ ხომერიკის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-XII დვაბზუში (მახარაძის რ.).

ქალაქ თბილისის მე-20 საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი იუწყება **შალვა თომას-ძე ბოჯგუას** გარდაცვალებას.

დ. ქიტიაშვილი, ვ. შავდია, კ. მერკვილაძე, ს. ვიქტოროვი, პ. თოდუა, შ. ჯაში, ი. ხარულიძე, ვ. კაკაბაძე, ი. ქურციძე, ნ. შალუტაშვილი, ა. ცაგურია, შ. ჯვარიშვილი, ე. დიდია, ს. ასლამაზოვი, ლ. კვინიკაძე, ა. შელიძე, ა. ნარჩემაშვილი იუწყებიან **ალექსი ეგნატეს-ძე ფირცხალავას** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებები: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-78-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ცოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მიროგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 10938